რაოდენობრივი კომპიუტერული ტომოგრაფია (QCT) არის ყველა სხვა მეთოდისგან განსხვავებული იმით, რომ ახდენს ძვლის სიმკვრივის მოცულობით ანუ სამგანზომილებიან გაზომვას და გამოყოფს ერთმანეთისაგან ტრაბეკულურ და კორტიკალურ ძვალს. QCT-ით ხერხემლის კვლევის დროს ჩვეულებრივ სკანირდება T12-L3 მალეები. ისაზღვრება მალეების სხეულის წინა ნაწილის ძვლის სიმკვრივე, რომელიც არის ინტერესის რეგიონი და გამოისახება მგ/სმ³. შედეგად ვიღებთ სამგანზომილებიან ტრაბეკულურ სიმკვრივეს, რომელიც განსხვავდება DXA კვლევის დროს მიღებული ორგანზომილებიანი, შერეული კორტიკალურ-ტრაბეკულური ძვლის სიმკვრივისგან. ხერხემლის QCT კვლევას სჭირდება 30 წუთი. კანის რადიაციული დოზა შეადგენს 100-300 გრეის [28, 51].

ხერხემლის QCT გამოყენება კვლევებში ოსტეოპოროზული მოტეხილობების გამოსავლენად. მოტეხილობები ძალიან იშვიათია, როცა ძმს-ს

მნიშვნელობა აღემატება 110 მგ/სმ³ და ძალიან ხშირია, როცა ის < 60 მგ/სმ³. რადგან QCT-ს შეუძლია ტრაბეკულური ძვლის გამოცალკევება და გაზომვა, რომელიც მეტაბოლურად უფრო აქტიურია, ვიდრე კორტიკალური ძვალი, მისი საშუალებით შესაძლებელია ძმს-ის ცვლილების გამოვლენა უფრო ადრეულ ეტაპზე, ვიდრე DXA-თი განსაზღვრისას.

QCT მეშვეობით ძმს განსაზღვრა პროქსიმალურ ბარძაყში ჯერჯერობით არ ხერხდება.

pQCT ზომავს კორტიკალური და ტრაბეკულური ძვლის მოცულობით სიმკვრივეს წინამხრის და დიდი წვივის ძვლებში. წინამხრის pQCT-ს შეუძლია მხოლოდ ბარძაყის ძვლის და არა ვერტებრული მოტეხილობების რისკის განსაზღვრა. არასაკმარისი მონაცემებია აღნიშნული მეთოდის შესაძლებლობებზე მამაკაცების ძვლის სიმკვრივის პრედიქციაში.

რაოდენობრივი ულტრაბგერითი დენსიტომეტრია

რაოდენობრივი ულტრაბგერითი დენსიტომეტრიის (QUS) გარშემო 40 წელზე მეტია კვლევა მიმდინარეობს, თუმცა მან მხოლოდ ბოლო წლებში დაიპყვიდრა ადგილი კლინიკურ მედიცინაში. თეორიულად, სიჩქარე, რომლითაც ბგერა გაივლის ძვალში დამოკიდებულია არა მხოლოდ ძვლის სიმკვრივეზე, არამედ ძვლის ხარისხზეც. ძვლის სიმკვრივე და მისი ხარისხი კი განსაზღვრავენ ძვლის მდგრადობას მოტეხილობის მიმართ. ასე რომ, ბგერის სიჩქარე შეგვიძლია დავაკავშიროთ მოტეხილობის რისკთან.

ნორმალურ ძვალში ულტრაბგერა საკმაოდ მაღალი სიჩქარით გადის და სიჩქარე დამოკიდებულია იმაზე, ძვალი კორტიკალურია თუ ტრაბეკულური. კორტიკალური ძვლისთვის დამახასიათებელია სიჩქარე 3000-3600 მ/წმ-მდე, ხოლო ტრაბეკულური ძვლისთვის 1650-2300 მ/წმ.

იმისათვის რომ გამოითვალოს სიჩქარე, ულტრაბგერითმა დენსიტომეტრმა უნდა გაზომოს მანძილი ორ წერტილს შორის და დრო, რომელიც სჭირდება ულტრაბგერას, რომ გაიაროს მანძილი ამ ორ წერტილს შორის. სიჩქარე გამოისახება, როგორც ბგერის სიჩქარე (SOS). SOS-ის მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს ძვლის მაღალ სიმკვრივეზე.

ულტრაბგერის მეორე პარამეტრია ფართოტალღოვანი ულტრაბგერითი შესუსტება (BUA). ძვალში გავლისას ულტრაბგერა კარგავს გარკვეულ ენერგიას და ამ ენერგიის რაოდენობა დაკავშირებულია ძვლის სიმკვრივესთან და არქიტექტურულ თავისებურებებთან, როგორცაა პოროზულობა და ტრაბეკულური კავშირები. SOS-ის მსგავსად, BUA-ს მაღალი მნიშვნელობაც მიგვითითებს მაღალ სიმკვრივეზე. აპარატთა უმეტესობა გამოთვლის როგორც SOS-ს, ისე BUA-ს, თუმცა ერთ-ერთმა მწარმოებელმა გააერთიანა ეს ორი პარამეტრი და დაარქვა სიმტკიცის ინდექსი (Stiffness Index).

რაოდენობრივი ულტრაბგერითი დენსიტომეტრიით ხდება არა ძვლის სიმკვრივის განსაზღვრა, არამედ მოტეხილობის რისკის შეფასება პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებსა და 65 წელზე უფროს მამაკაცებში, ამიტომ მოწოდებულია მხოლოდ სკრინინგისთვის. ეს არის კვლევის მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდი, რამაც განაპირობა მისი ფართო გავრცელება.

ძვლის მეტაბოლიზმის ბიოქიმიური მარკერები

ოსტეოპოროზის დროს, ძმს-ის განსაზღვრასთან ერთად, სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა გააჩნიათ ძვლის მეტაბოლიზმის მარკერებს. არსებობს მარკერების ორი ჯგუფი: ფორმირების და რეზორბციის. მათი განსაზღვრა ხდება სისხლსა და შარდში. ძვლის მეტაბოლიზმის მარკერები არ არის სპეციფიური რომელიმე დაავადებისთვის, ისინი უბრალოდ ასახავენ ძვლის მეტაბოლიზმის ცვლილებებს გამომწვევი მიზეზისგან დამოუკიდებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკერების განსაზღვრას ოსტეოპოროზის მკურნალობის მონიტორინგის პროცესში, რადგან გვეხმარება მკურნალობის ეფექტურობის შეფასებაში დაწყებიდან 3 თვის შემდეგ, სანამ მოხდება ძმს-ს ცვლილება, რაც საკმაოდ დიდ დროს, მინიმუმ 1-2 წელს მოითხოვს. ძვლის მეტაბოლიზმის მარკერები ნაჩვენებია ცხრილში №3

ცხრილი №3

ძვლის მეტაბოლიზმის ბიოქიმიური მარკერები

ფორმირების მარკერები	რეზორბციის მარკერები
ოსტეოკალცინი	ჰიდროქსიპროლინი
საერთო ტუტე ფოსფატაზა	პირიდინოლინი
ძვლისთვის სპეციფიური ფოსფატაზა	დეოქსიპირიდინოლინი

პროკოლაგენი ტიპი 1 C-ტერმინალური პროპეპტიდი C1NP	ტარტრატ-რეზისტენტული ფოსფატაზა	მჟავე
პროკოლაგენი ტიპი 1 N-ტერმინალური პროპეპტიდი P1NP		მჟავე ფოსფატაზა
	კოლაგენი ტიპი 1 ჯვარედინი N-ტელოპეპტიდი NTX	
	კოლაგენი ტიპი 1 ჯვარედინი C-ტელოპეპტიდი CTX	
	ძვლის სიალოპროტეინი	

14. ოსტეოპოროზის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები

ოსტეოპოროზის დროს მკურნალობის მიზანია ძვლის სიმტკიცის გაზრდა და შესაბამისად, მოტეხილობის რისკის შემცირება. არანამკურნალებ პაციენტებში, ძვლის სიმტკიცის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ძმს ანუ დაბალი ძმს მოუთითებს მოტეხილობის რისკზე. ჯერჯერობით სადაოა, რამდენად დამოკიდებულია ანტიოსტეოპოროზული პრეპარატის ეფექტურობა ძმს-ს მომატების ხარისხზე. მეტა-რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს ძმს-ს მატებასა და მოტეხილობის რისკის შემცირებას შორის უფრო ძლიერ კორელაციას, ვიდრე ინდივიდუალური პაციენტების მონაცემები.

ოსტეოპოროზის სამკურნალო პირველი რიგის პრეპარატებს მიეკუთვნება ბისფოსფონატები, რალოქსიფენი, პარათირეოიდული ჰორმონის წარმოებულები სტრონციუმის რანელატი და დენოსუმაბი. ბოლო დრომდე, ფართოდ ინიშნებოდა ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპიაც. ყველა აღნიშნული საშუალება ამცირებს ვერტებრული მოტეხილობის რისკს, ზოგიერთი მათგანი კი არავერტებრულ, კერძოდ ბარძაყის ყელის მოტეხილობებსაც.

ბისფოსფონატები. ბისფოსფონატები არიან პიროფოსფატის ანალოგები, რომელთაც გააჩნიათ მაღალი აფინობა ძვლის აპატიტთან, რასაც ეფუძნება მათი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში. ისინი არიან ძვლის რეზორბციის ძლიერი ინჰიბიტორები და თავის მოქმედებას ახორციელებენ ოსტეოკლასტების აქტივობის შემცირებით და მათი აპოპტოზის გაზრდით. ბისფოსფონატები ამცირებენ როგორც ბარძაყის, ისე ვერტებრული მოტეხილობების სიხშირეს. ბისფოსფონატებს აქვთ კარგი უსაფრთხოების პროფილი.

სელექტიური ესტროგენის რეცეპტორის მოდულატორები (SERMs). სელექტიური ესტროგენის რეცეპტორის მოდულატორები (SERMs) არიან არასტეროიდული საშუალებები, რომლებიც უკავშირდებიან ესტროგენის რეცეპტორებს და მოქმედებენ როგორც ესტროგენის აგონისტები ან ანტაგონისტები, რაც დამოკიდებულია სამიზნე ქსოვილზე. პოსტმენოპაუზური ოსტეოპოროზის პრევენციისა და მკურნალობისათვის მოწოდებულია რალოქსიფენი და ბაზელოქსიფენი, კიდევ რამდენიმე სხვა SERM გადის კლინიკურ კვლევას. რალოქსიფენი ხელს უშლის ძვლის კარგვას და ამცირებს ვერტებრული მოტეხილობის რისკს 30-50%-ით ოსტეოპოროზით დაავადებულ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში, უკვე განვითარებული მოტეხილობის პირობებშიც. არავერტებრული მოტეხილობების რისკი მნიშვნელოვნად არ მცირდება.

პარათირეოიდული ჰორმონის რიგის პეპტიდები (1-34, 1-84). პარათირეოიდული ჰორმონის (პთჰ) პერიოდული წყვეტილი რეჟიმით მიღება იწვევს ოსტეობლასტების რაოდენობის და აქტივობის გაზრდას, რასაც მოყვება ძვლის მასის მომატება და ჩონჩხის მიკროარქიტექტურის გაუმჯობესება როგორც ტრანსკეულურ ისე კორტიკალურ ძვალში. სწორედ ამას ემყარება პთჰ-ის წარმოებულების, კერძოდ ტერიპარატიდის (PTH 1-34) გამოყენება ოსტეოპოროზის სამკურნალოდ.

სტრონციუმის რანელატი. სტრონციუმის რანელატი ბოლო წლებში დარეგისტრირდა, როგორც პოსტმენოპაუზური ოსტეოპოროზის სამკურნალო საშუალება. არსებობს მტკიცებულება, რომ სტრონციუმის რანელატს აქვს ორმაგი მოქმედება, კერძოდ აინჰიბირებს ძვლის რეზორბციას და ასტიმულირებს ძვლის ფორმირებას. კვლევებმა, რომლებიც ტარდებოდა 10 წლის განმავლობაში გამოავლინა ვერტებრული და არავერტებრული მოტეხილობების სიხშირის შემცირება სხვადასხვა ასაკის პაციენტებში, თუმცა სტრონციუმის რანელატი არ მიეკუთვნება ამერიკის საკვებისა და წამლების (FDA) სააგენტოს მიერ მოწოდებულ საშუალებათა რიგს.

კალციტონინი. კალციტონინი არის ენდოგენური პოლიპეპტიდი, რომელიც აინჰიბირებს ოსტეოკლასტების მიერ ძვლის რეზორბციას. ორაგულის კალციტონინი დაახლ 40-50-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის კალციტონინი. ის გამოიყენება ინექციის სახით ან ინტრანაზალურად. კალციტონინი ზომიერად ზრდის ძმს-ს წელის მალეებში და წინამხარში, ამცირებს ვერტებრული მოტეხილობების რისკს, თუმცა მისი ზეგავლენა

არავერტებრული მოტეხილობის რისკზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დამატებით, კალციტონინს აქვს ანალგეზიური ეფექტი ვერტებრული მოტეხილობის მქონე ქალებში. განმეორებითი ინექციების აუცილებლობა და ნაზალური ფორმის მაღალი ფასი გამორიცხავს მის გამოყენებას პირველი რიგის საშუალებად.

ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპია. ესტროგენები ამცირებენ მენოპაუზით გამოწვეულ გაძლიერებულ ძვლის ცვლას ჩონჩხის ნებისმიერ რეგიონში, ასაკისა და მკურნალობის ხანგრძლივობის მიუხედავად. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა ნათელი გახადა, რომ ჩანაცვლებითი თერაპიის (ჩპთ) თანმხლები რისკი აჭარბებს მის სარგებელს, მნიშვნელოვნად იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ძუძუს კიბოს რისკი. ამიტომ დღეისთვის ჩპთ რეკომენდებულია ოსტეოპოროზის პრევენციისთვის მხოლოდ იმ ქალებში, რომლებსაც აღენიშნებათ ვაზომოტორული სიმტომები, რაც შეიძლება მინიმალური დოზით და არახანგრძლივად. ასე რომ, ჩპთ აღარ განიხილება, როგორც პირველი რიგის სამკურნალო საშუალება ოსტეოპოროზისა და მკურნალობისთვის.

დენოსუმები. ოსტეოპოროზის სამკურნალო ყველაზე თანამედროვე საშუალება არის ნუკლეარული ფაქტორი-კაპა B-ს (NF-κB) რეცეპტორული აქტივატორის, RANK-ის ლიგანდის ინჰიბიტორი, დენოსუმები. ის ამცირებს ვერტებრული და არავერტებრული მოტეხილობების რისკს როგორც პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში, ისე მამაკაცებში.

კომბინირებული მკურნალობა. აქტიური კვლევის საგანია სხვადასხვა პრეპარატების კომბინირების ეფექტურობა და უსაფრთხოება ოსტეოპოროზის მკურნალობის დროს.

ანტირეზორბციული მკურნალობის გამოყენება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით გამოწვეული ოსტეოპოროზის დროს

თავისთავად ეუთირეოზის მიღწევა სუბკლინიკური ან მანიფესტირებული თტ-ის მქონე პაციენტებში ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის კარგვის შემცირებას და ძმს-ს მაჩვენებლების გარკვეულწილად გაუმჯობესებას. თუმცა ხანდაზმულ პაციენტებში ძმს-ს დაქვეითების ხარისხი თტ-ის და ასაკთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გამო, შესაძლოა იმდენად მაღალი იყოს, რომ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის სრული ნორმალიზება საკმარისი არ

ადმოჩნდეს ძმს-ს მატებისთვის, ფარისებრი ჯირკვლის მაღალდიფერენცირებული კიბოს მკურნალობის პროცესში კი მიზანშეწონილია სუბკლინიკური თირეოტიკოსის შენარჩუნება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ძმს-ზე. მანიფესტირებული ან სუბკლინიკური თტ-ის მქონე პაციენტები, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, შესაძლოა საჭიროებდნენ ანტირეზორბციულ მკურნალობას, თუმცა კვლევები ამ მიმართულებით შედარებით მცირერიცხოვანია.

თავი 2

კვლევის მეთოდები

წარმოდგენილ ნაშრომში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების, თირეოტროპული ჰორმონის და ანტისხეულების გამოკვლევა ხდებოდა მაღალმგრძობიარე (ულტრასენსიტიური) იმუნოფერმენტული მეთოდებით. თირეოტროპული ჰორმონის განსაზღვრის მეთოდიკა ემყარებოდა ენზიმური შეკავშირების იმუნოფერმენტულ კვლევას (ELISA) ანუ ტესტ-სისტემაში გამოყენებული იყო TSH-ის მიმართ მონოკლონური ანტისხეულები. TSH-ის კონცენტრაციის განსაზღვრა ხდებოდა HUMAN-ის ფირმის იმუნოფერმენტული აპარატით Elisys UNO.

ჩვენს კვლევაში ანტისხეულების (antiTSHr) ტიტრის განსაზღვრა ხდებოდა მეორე თაობის მაღალმგრძობიარე მეთოდით, HUMAN-ის ავტომატიზებული იმუნოფერმენტული ანალიზატორით Elisys Uno, ადამიანის რეკომბინანტული TSH რეცეპტორის გამოყენებით. მიღებული კონცენტრაცია 1.5 სე/ლ-ზე ზევით, განიხილებოდა, როგორც დადებითი შედეგი, 1.0 – 1.5 სე/ლ ფარგლებში მიღებული მონაცემი მიიჩნეოდა მოსაზღვრე ზონად, ხოლო ანტისხეულების 1.0 სე/ლ-ზე ნაკლები კონცენტრაცია – უარყოფით შედეგად.

ფარისებრი ჯირკვლის ვიზუალიზაცია ხორციელდებოდა ექოსკოპის “Siemens Acuson Antares“-ის მეშვეობით. უკანასკნელი გენერაციის ულტრასონოგრაფიული აპარატები ძალზე მცირე ზომის სითხოვანი და კვანძოვანი წარმონაქმნების, მათი სტრუქტურისა და ჯირკვლის სისხლძარღვების ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევიან. ულტრასონოგრაფიული გამოკვლევით შესაძლოა დაისვას ფარისებრი ჯირკვლის განვითარების ანომალიების – მთლიანი, ან რომელიმე წილის აპლაზიისა და

ჰიპოპლაზიის დიაგნოზი. რეზეცირებული ფარისებრი ჯირკვლის, პარათირეოიდული ჯირკვლებისა და კისრის ლიმფური კვანძების ულტრასონოგრაფიული კვლევისათვის უპირატესობა 10,0-14,0 მეგაჰერცის სიხშირის გადამწოდის გამოყენებას ენიჭება.

ფარისებრი ჯირკვლის სტრუქტურის შესწავლისას განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება ისეთ მახასიათებლებზე, როგორცაა საკუთრივ ჯირკვლის ექოგენობა და მეზობელ კუნთებთან მისი შედარებითი ექოგენობა, ჯირკვლის მეზობელი ქსოვილებისაგან დიფერენცირების ხარისხი, პარენქიმის სტრუქტურის ერთგვაროვნება, ჯირკვლის ქსოვილში სითხოვანი, სოლიდური ან სითხოვან-სოლიდური კვანძების და სხვადასხვა ჩანართების არსებობა.

ფარისებრი ჯირკვლის ზომის შეფასების ყველაზე სანდო კრიტერიუმი მისი მოცულობაა, რომლის გამოსათვლელად ყველაზე ხშირად Brunn J. მეთოდს იყენებენ. აღნიშნული მიდგომით, ფარისებრი ჯირკვლის ყოველი წილის მოცულობის გამოთვლა ემყარება ელიფსოიდური ფორმის ფიგურის მოცულობის გამოსათვლელ გეომეტრიულ ფორმულას და შემდეგნაირად გამოისახება:

$$\text{წილის მოცულობა (სმ}^3\text{)} = \text{წილის სიგანე} \times \text{სიგრძე} \times \text{სიღრმე} \times 0,479$$

სადაც, 0,479 შესწორების კოეფიციენტია. ჯირკვლის საერთო მოცულობა მისი წილების მოცულობის ჯამს წარმოადგენს. ფარისებრი ჯირკვლის ხიდაკის მოცულობა საერთო მოცულობის 5%-ს შეადგენს, ამიტომ ამ სიდიდეს არ ითვალისწინებენ ჯირკვლის საერთო მოცულობის გამოთვლისას.

ჯანმრთელი ზრდასრული ქალის ფარისებრი ჯირკვლის მოცულობის ზედა ზღვარი 18 სმ³-ია, მამაკაცისა კი 25 სმ³. ბავშვის ფარისებრი ჯირკვლის მოცულობა მხოლოდ შესაბამისი ასაკობრივი ნორმების მიხედვით ფასდება.

კვლევაში ჩართულ ყველა ავადმყოფს ჩაუტარდა ძვლის სიმკვრივის განსაზღვრა ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციული დენსიტომეტრიით, რომელიც ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის “ოქროს სტანდარტად” არის მიჩნეული. გამოკვლევა ტარდებოდა General Electrics-ის წარმოების რენტგენული დენსიტომეტრით Lunar Prodigy Primo. პაციენტებს ესაზღვრებოდათ ძვლის მინერალური სიმკვრივე (ძმს) წელის მალეხსა (L₁-L₄) და ბარძაყის ყელის პროქსიმალურ ნაწილში. ბარძაყის ძვლის პროქსიმალურ სეგმენტი მოიცავს სამ ძირითად სადიაგნოსტიკო რეგიონს: ბარძაყის ყელს, ყელის ზედა რეგიონს და ტროქანტერს ანუ ციბრუტს. ოსტეოპოროზისა და ოსტეოპენიის დიაგნოზის დასმისას ვეყრდნობოდით ამ სამი რეგიონიდან

მიღებული მონაცემის მინიმალურ მნიშვნელობას. ასევე, წელის მალეობის შემთხვევაშიც, ინტერპრეტაციისთვის ვიღებდით მინიმალურ მაჩვენებელს.

ჯანმო-ს და ოსტეოპოროზის საერთაშორისო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად, ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკა ემყარებოდა T-კრიტერიუმის მაჩვენებელს (1994, 2008), უფრო სწორედ მის დევიაციას (SD), ახალგაზრდა ჯანმრთელი ქალების ძვლის პიკური მასის მაჩვენებლებისაგან. მაჩვენებელი SD (-1)-მდე განიხილებოდა, როგორც ნორმა, SD (-1)-დან (-2,5)-მდე – როგორც ოსტეოპენია, ხოლო < -2,5 SD, როგორც ოსტეოპოროზი.

გარდა ამისა, შეიკრიბა ყველა პაციენტის ანთროპომეტრული მონაცემები: სიმაღლე და წონა. სხეულის მასის ინდექსის (კეტლეს ინდექსის) გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა:

$$\text{სმი} = \text{წონა (კგ)} / \text{სიმაღლე (მ}^2\text{)}$$

პოსტმენოპაუზური ასაკის ყველა პაციენტს განესაზღვრა მოტეხილობის 10-წლიანი რისკი FRAX-ის ალგორითმით.

გარდა ზემოთ აღნიშნული ბიოქიმიური გამოკვლევებისა, ყველა გამოსაკვლევ პირს უტარდებოდა იონიზირებული კალციუმის და არაორგანული ფოსფორის რაოდენობის განსაზღვრა სისხლში.

მიღებული ციფრობრივი მონაცემები შეტანილ იქნა Microsoft Excel 2003-ის სტატისტიკური პროგრამების მონაცემთა ბაზაში და დამუშავდა SPSS 15.0 პროგრამის სტატისტიკური პაკეტის გამოყენებით. კვლევის ყველა პარამეტრზე თითოეულ ჯგუფში ვითვლიდით საშუალო მაჩვენებელს M+SD (M საშუალო ± SD სტანდარტული გადახრა). მონაცემთა სარწმუნოების ანალიზისთვის გამოვიყენეთ სტიუდენტის t – ტესტი ($p < 0.05$). პარამეტრებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულ იქნა კორელაციური ანალიზის მეთოდი. კორელაციის კოეფიციენტის განსაზღვრა ხდებოდა პირსონის ფორმულის საფუძველზე.

თაზო 3

კლინიკური მასალის დახასიათება

ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა 240 ქალი, რომლებიც დაეკავით სამ ძირითად ჯგუფად. I ჯგუფში გაერთიანდა 80 პაციენტი დიაგნოზით დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვი, II ჯგუფში – 84 პაციენტი დიაგნოზით პირველადი ჰიპოთირეოზი, ხოლო III ჯგუფში 76 პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალი. კვლევები ტარდებოდა შპს-ში “ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი”, რომელიც არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ენდოკრინოლოგიის სასწავლო ბაზა.

კვლევაში ჩართული იყვნენ მხოლოდ ქალები:

- რათა თავიდან აგვეცილებინა სქესობრივ განსხვავებასთან დაკავშირებული ძვლის სიმკვრივის ვარიაციები
- პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე: როგორც ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ისე ოსტეოპოროზი უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, ამიტომ ქალებში უფრო ხშირია ამ ორი პათოლოგიის თანხვედრა, ვიდრე მამაკაცებში.

I ჯგუფში დტჩ-ით დაავადებულ 80 პაციენტს შორის, 10 შემთხვევაში დაავადება იყო ახლად დიაგნოსტირებული და პაციენტებს არ ჰქონდათ დაწყებული თირეოსტატიური მკურნალობა, 12 პაციენტს აღენიშნებოდა დაავადების მორეციდივე მიმდინარეობა 6 - 12 წლის განმავლობაში, ხოლო 58 პაციენტში მიღწეული იყო დაავადების რემისია 0.5 - 15 წლის განმავლობაში, მათ შორის 18 შემთხვევაში თირეოსტატიული მკურნალობის, ხოლო 40 შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექციის შედეგად. 80 ქალიდან 62 იყო პოსტმენოპაუზური ასაკის, ხოლო 18 ქალს აღენიშნებოდა რეგულარული მენსტრუალური ციკლი.

II ჯგუფში, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 84 ქალი პირველადი ჰიპოთირეოზის დიაგნოზით. გამოკვლეული ქალების ასაკი მერყეობდა 41-დან 72 წლამდე, გამოსაკვლევ კონტიგენტში 8 შემთხვევაში დაავადება იყო ახლად დიაგნოსტირებული და პაციენტებს არ ჰქონდათ დაწყებული ჩანაცვლებითი მკურნალობა, 76 შემთხვევაში ანამნეზის ხანგრძლივობა ჰიპოთირეოზის დიაგნოსტირებიდან და მკურნალობის დაწყებიდან ძვლის სიმკვრივის

განსაზღვრამდე შეადგენდა 0.5 - 15 წელს, ხოლო ლევოთიროქსინის დოზა – 50 - 150 მკგ-ს. საკვლევე პაციენტებს შორის 58 ქალს აღენიშნებოდა პირველადი ჰიპოთირეოზი ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექციის შემდეგ, 26 პაციენტს დასმული ჰქონდა აუტოიმუნური თირეოიდიტის დიაგნოზი. 84 ქალიდან 62 იყო პოსტმენოპაუზური ასაკის, ხოლო 22 ქალს აღენიშნებოდა რეგულარული მენსტრუალური ციკლი. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, ანამნეზში ნებისმიერი გენეზის თირეოტოქსიკოზის არსებობა წარმოადგენს ოსტეოპოროზის რისკის ფაქტორს, ამიტომ აღნიშნულ ჯგუფში არ გაერთიანდნენ პაციენტები, რომელთაც ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექცია გაკეთებული ჰქონდათ დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის, ტოქსიური ადენომის ან მრავალკვანძოვანი ტოქსიური ჩიყვის გამო. ასევე კვლევაში არ ჩაერთნენ პაციენტები ვინც იტარებენ სუპრესიულ თერაპიას ლევოთიროქსინით, რადგან ენდოგენური სუბკლინიკური ჰიპერთირეოზიც მიჩნეულია ოსტეოპოროზის ერთ-ერთ რისკის ფაქტორად.

საკონტროლო ჯგუფში გაერთიანდა 76 პრაქტიკულად ჯანმრთელი ქალი, რომელთაც არც ამუამინდელი გამოკვლევის დროს და არც წარსულში არ ჰქონდათ დასმული ფარისებრი ჯირკვლის დაავადების დიაგნოზი. საკონტროლო ჯგუფი შესაბამისობაში მოდიოდა საკვლევე ჯგუფთან ქალების ასაკისა და მენოპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით.

სამივე ჯგუფისათვის გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა იმ დაავადებების, თუ სინდრომების არსებობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმზე (ღვიძლის, თირკმელების, სისხლმზადი სისტემის დაავადებები, მაღაბსორბციის სინდრომი და ა.შ.), ან ანალოგიური ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებების მიღება (გლუკოკორტიკოიდები, ესტროგენები, ანტიკონვულსანტები, ანტირეზორბციული საშუალებები და ა.შ.). კვლევაში ასევე არ ჩაერთნენ ქალები, რომელთაც აღენიშნებოდათ ნაადრევი მენოპაუზა (40 წლამდე ასაკში) თვითნებურად ან მეორადად (ოპერაცია, ქიმიო ან სხივური თერაპია და სხვა).

თავი 4.

კვლევის შედეგები

4.1. ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის დროს

4.1.1. ძვლის მინერალური სიმკვრივის თავისებურებები დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებულ ქალებში, პოსტმენოპაუზურ ასაკში

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებული 80 ქალი. გამოსაკვლევ კონტიგენტში, 10 პაციენტს დაავადება ჰქონდა ახლად დიაგნოსტირებული და არ იყო დაწყებული თირეოსტატიური მკურნალობა, 12 პაციენტს კი აღენიშნებოდა დაავადების მორეციდივე მიმდინარეობა 6-12 წლის განმავლობაში. 58 პაციენტში მიღწეული იყო დაავადების რემისია 0,5 – 15 წლის განმავლობაში, მათ შორის 18 შემთხვევაში თირეოსტატიული მკურნალობის, ხოლო 40 შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექციის შედეგად. 80 ქალიდან 62 იყო პოსტმენოპაუზური ასაკის, ხოლო 18 ქალს აღენიშნებოდა რეგულარული მენსტრუალური ციკლი.

მონაცემების ანალიზის დროს ყველა შემთხვევაში ხდებოდა ერთგვაროვანი საკვლევი და საკონტროლო ქვეჯგუფების შერჩევა პაციენტების ასაკის, მენოპაუზური სტატუსის, მენოპაუზის ხანგრძლივობის და სხეულის მასის ინდექსის მიხედვით, ასე რომ გათანაბრებული იქნა ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შეეძლო ძვლის მინერალურ სიმკვრივის მოდიფიცირება.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო ძვლის მინერალურ სიმკვრივის დადგენა ახლად დიაგნოსტირებული დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის მქონე პაციენტებში, რომელთაც არ ჰქონდათ დაწყებული თირეოსტატიული მკურნალობა. ჩვენს საკვლევ პაციენტებს შორის აღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 10 ქალი, მათ შორის ყველა იყო პოსტმენოპაუზური ასაკის. მიღებული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში №4.

ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში ახლად დიაგნოსტირებული დტჩ-ით

ჯგუფები	ასაკი	მენოპაუზა	TSH	სმი	T-ინდექსი ბარძაყი	T-ინდექსი წელი
თირეოტიკოსიკოზი n = 10	56.7 ± 4.9	7.6 ± 6.0	0.07 ± 0.07	28.4 ± 5.0	-1.92 ± 0.66	-2.42 ± 1.45
საკონტროლო n = 16	56.1 ± 4.0	7.3 ± 3.2	1.78 ± 0.83	29.0 ± 3.8	-1.51 ± 0.81	-2.19 ± 1.21
P	0.72	0.87	<0.001*	0.75	0.043*	0.11

დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებული პოსტმენოპაუზური ასაკის ქალების ძვლის მინერალური სიმკვრივე დაბალი აღმოჩნდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, როგორც პროქსიმალურ ბარძაყში, ისე წელის მალეებში, თუმცა ეს დაქვეითება სტატისტიკურად სარწმუნო იყო მხოლოდ პროქსიმალურ ბარძაყში (P=0.043).

4.1.2. ძვლის მინერალური სიმკვრივის თავისებურებები მორეციდივე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებულ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში

დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვი (დტჩ) არის ქრონიკული მორეციდივე დაავადება. დაავადების რეციდივის ალბათობა კონსერვატიული მკურნალობის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში აღწევს 40-50%-ს, ხოლო ქირურგიული მკურნალობის შემდეგ ეს ციფრი გაცილებით დაბალია და შეადგენს 5-15%-ს [63, 78]. ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე ხანგრძლივი თირეოტიკოსიკოზის ზეგავლენის დასადგენად, მორეციდივე დტჩ-ით დაავადებული პაციენტების (n = 12, ანამნეზის ხანგრძლივობა 8.6 ± 2.3 წელი) მონაცემები შედარებულ იქნა ახლად დიაგნოსტირებული თირეოტიკოსიკოზის მქონე პაციენტებსა და საკონტროლო ჯგუფთან. ყველა პაციენტი იმყოფებოდა მენოპაუზის პერიოდში და კვლევის მომენტშიც აღენიშნებოდა აქტიური თირეოტიკოსიკოზი. პაციენტების კლინიკური დახასიათება და მიღებული მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში №5.


ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში
მორეციდივე ღტჩ-ით

ჯგუფები	ასაკი	მენოპაუ ზა	TSH	სმი	T-ინდექსი ბარძაყი	T-ინდექსი წელი
მორეციდი ვე ღტჩ n = 12	55.2 ± 4.6	5.6 ± 3.6	0.22 ± 0.33	25.5 ± 5.7	-2.92 ± 0.69	-3.18 ± 1.22
ახლადლი აგნოსტირ ებული ღტჩ n = 10	56.7 ± 4.9	7.6 ± 6.0	0.07 ± 0.07	28.4 ± 5.0	-1.92 ± 0.66	-2.42 ± 1.45
საკონტრ ოლო n = 16	56.1 ± 4.0	7.3 ± 3.2	1.96 ± 0.83	29.0 ± 3.8	-1.51 ± 0.81	-2.19 ± 1.21
p1-2	0.48	0.38	0.24	0.26	0.0052	0.22
p2-3	0.72	0.87	<0.001	0.75	0.043	0.11
p1-3	0.59	0.22	<0.001	0.065	<0.001	0.0012

როგორც ცხრილიდან ჩანს, მორეციდივე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის და ახლად დიაგნოსტირებული დაავადების მქონე პაციენტების ჯგუფები ერთგვაროვანია თირეოტროპული ჰორმონის დონის მიხედვითაც. მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხანგრძლივად მიმდინარე, მორეციდივე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის მქონე პაციენტების ჯგუფში ბარძაყის ძვლის მინერალური სიმკვრივე მნიშვნელოვნად დაბალი იყო როგორც საკონტროლო ჯგუფთან, ისე ახლადდიაგნოსტირებულ პაციენტებთან შედარებით. სხვაობა ორივე შემთხვევაში იყო სტატისტიკურად სარწმუნო. წელის ძალების მინერალურ სიმკვრივე ერთგვაროვანი აღმოჩნდა მორეციდივე და ახლადდიაგნოსტირებული თირეოტოქსიკოზის ჯგუფებში, მაგრამ სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო იყო მორეციდივე თირეოტოქსიკოზის და საკონტროლო ჯგუფებს შორის ($p=0.0012$). აღნიშნული შედეგები ასახულია დიაგრამაზე №1.

დიაგრამა №1



ძვლის მინერალური სიმკვრივე ახლადდიაგნოსტირებული და მორეციდივე გრეივსის დაავადების დროს



გარდა ამისა, შევაფასეთ ოსტეოპოროზისა და ოსტეოპენიის გავრცელება დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებული პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის პაციენტების ბარძაყის ძვალში და აღმოჩნდა, რომ თირეოტოქსიკოზის დიაგნოზის მქონე პაციენტებს შორის არც ერთს არ ჰქონდა ძმს-ის ნორმალური მაჩვენებელი, რაც სარწმუნოდ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფის შედეგებისგან. იხ. დიაგრამა №2.

დიაგრამა №2: ოსტეოპოროზის და ოსტეოპენიის გავრცელება საკვლევ და საკონტროლო ჯგუფებში.

თირეოტიკოსის ჯგუფი



საკონტროლო ჯგუფი

4.1.3. ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის კონსერვატიული მკურნალობის ფონზე

დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის სამკურნალოდ დღეისათვის მოწოდებულია სამი ძირითადი მეთოდი: კონსერვატიული მკურნალობა თირეოსტატიული პრეპარატებით, ქირურგიული მკურნალობა და რადიოიოდთერაპია. ევროპის ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება კონსერვატიულ და ქირურგიულ მკურნალობას, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში წინა პლანზე დგას რადიოიოდთერაპია [4, 57]. საქართველოში ჯერჯერობით ეს უკანასკნელი დანერგილი არ არის. მკურნალობა ძირითადად იწყება კონსერვატიულად და გრძელდება 12-18 თვის განმავლობაში. კლინიკური სურათის გაუმჯობესება აღინიშნება მკურნალობის დაწყებიდან 2 კვირაში, თავისუფალი თიროქსინისა და ტრიიოდთირონინის კონცენტრაცია სისხლში ნორმას უბრუნდება საშუალოდ 1-3 თვეში, ხოლო თირეოტროპული ჰორმონი შესაძლოა თვეების განმავლობაში დარჩეს სუპრესირებული. დაავადების რემისიის კრიტერიუმია თირეოტროპული ჰორმონის (თტჰ) ნორმალური დონის შენარჩუნება 1 წლის განმავლობაში მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ [4, 57, 63].

საკვლევი პაციენტების ჯგუფში 18 პაციენტი მკურნალობდა კონსერვატიულად 20-30 მგ მეთიმაზოლით (თიროზოლით). ყველა იყო პოსტმენოპაუზური ასაკის. მკურნალობის ხანგრძლივობა შეადგენდა 6 თვიდან 2 წლამდე. ფარისებრი ჯირკვლის მოცირკულირე პერიფერიული ჰორმონების დონე ყველა შემთხვევაში იყო ნორმალური. მხოლოდ 1 პაციენტში რჩებოდა თირეოტროპული ჰორმონი სუპრესირებული (< 0.1 მსერთ/ლ).

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანი იყო თირეოსტატიული მკურნალობის გავლენის დადგენა ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე. ამისათვის შედარებული იქნა კონსერვატიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფების ძმს-ის მაჩვენებლები. პაციენტების კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის შედეგები ნაჩვენებია ცხრილში №6.

ძვლის მინერალური სიმკვრივე დტჩ-ის კონსერვატიული
მკურნალობის ფონზე


ჯგუფები	ასაკი	მენოპაუზა	TSH	სმი	T-ინდექსი ბარდაყი	T-ინდექსი წელი
კონსერ მკურნალ ობის ფონზე n = 18	59.3 ± 7.6	9.9 ± 5.8	1.03 ± 0.88	28.4 ± 3.3	-1.32 ± 0.99	-2.22 ± 1.38
საკონტრ ოლო n = 32	59.3 ± 5.3	10.8 ± 5.8	1.41 ± 0.56	28.6 ± 3.5	-1.35 ± 0.82	-1.58 ± 1.18
P	1.0	0.61	0.067	0.81	0.91	0.088

თირეოსტატიული პრეპარატებით მკურნალობის ფონზე, დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებულ პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის პროქსიმალური ბარდაყის მონერალური სიმკვრივე პრაქტიკულად ერთგვაროვანი აღმოჩნდა. წელის მალეების ძმს შედარებით დაბალი იყო საკვლევე ჯგუფში, თუმცა სხვაობა საკონტროლო ჯგუფთან არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

აღნიშნული ჯგუფის პაციენტების შედეგები გაანალიზდა კონსერვატიული მკურნალობის ხანგრძლივობის მიხედვითაც და აღმოჩნდა, რომ მკურნალობის დაწყებიდან 6-8 თვეში მცირედ, მაგრამ სარწმუნოდ დაწვეითებული რჩებოდა წელის მალეების ძმს; მკურნალობის დაწყებიდან 1-2 წლის შემდეგ კი ძმს მაჩვენებლები უტოლდებოდა საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს ორივე საკვლევე სეგმენტში (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3

ძვლის მინერალური სიმკვრივე გრეივისის დაავადების კონსერვატიული
მკურნალობის ფონზე



4.1.4. ძელის მინერალური სიმკვრივის თავისებურებები დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის ფონზე

როგორც ავღნიშნეთ, დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის კონსერვატიული მკურნალობის შემდეგ რეციდივის ალბათობა აღწევს 40-50%-ს. გარდა ამისა, პაციენტთა 1-5%-ში შეუძლებელი ხდება კონსერვატიული მკურნალობის გაგრძელება ისეთი სერიოზული გვერდითი ეფექტების გამო, როგორცაა აგრანულოციტოზი, ტოქსიური ჰეპატიტი, ვასკულიტი და სხვა; აქტუალური ხდება დტჩ-ის ოპერაციული მკურნალობა – ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური ან ტოტალური რეზექცია ასევე ბავშვებში, ახალგაზრდა ქალებში, ვინც გეგმავენ ორსულობას, ოფთალმოპათიის არსებობისას [4, 78].

დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის ოპერაციული მკურნალობის, განსაკუთრებით ტოტალური თირეოიდექტომიის შემდეგ ხშირად ვითარდება ჰიპოთირეოზი, რაც მიიჩნევა ოპერაციის შედეგად და არა მის გართულებად. ოპერაციიდან პირველი წლის განმავლობაში ჰიპოთირეოზის განვითარების სიხშირე აღწევს 80%-ს, ხოლო შემდგომ წლებში ჰიპოთირეოზი ვლინდება პაციენტთა კიდევ 1-3%-ში. ჩვენს საკვლევ ჯგუფში ყველა პაციენტს აღენიშნებოდა პოსტოპერაციული

ჰიპოთირეოზი, რომლის ხანგრძლივობა მერყეობდა 1-15 წლამდე, ხოლო ლევოთიროქსინის დოზა შეადგენდა 25 - 200 მკგ.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანი იყო, ძვლის ცვლილებების ხასიათის დადგენა ოპერაციული მკურნალობის შემდეგ. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ 40 ქალი, რომელთაც ჩატარებული ჰქონდათ ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექცია დტჩ-ის გამო. ყველა პაციენტს აღენიშნებოდა დაავადების რემისია და პოსტოპერაციული ჰიპოთირეოზის გამო უტარდებოდათ ჩანაცვლებითი თერაპია ლევოთიროქსინით. ანამნეზის ხანგრძლივობა შეადგენდა საშუალოდ 7.1 ± 1.2 წელს. აღნიშნული ჯგუფის პაციენტებს შორის 14 იყო რეპროდუქციული ასაკის, ხოლო 26-ს აღენიშნებოდა მენოპაუზა. მენოპაუზის პერიოდში ესტროგენების დეფიციტის გამო ბუნებრივად იზრდება ძვლის კარგვის ინტენსივობა, ამიტომ ცალ-ცალკე ჩატარდა რეპროდუქციული და მენოპაუზური ასაკის ქალების ძმს-ის ანალიზი. პაციენტების კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის შედეგები ნაჩვენებია ცხრილებში №7 და №8.

ცხრილი №7

ძვლის მინერალური სიმკვრივე დტჩ-ის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ რეპროდუქციული ასაკის პაციენტებში

ჯგუფები	ასაკი	TSH	სმი	T-ინდექსი ბარძაყი	T-ინდექსი წელი
რეპროდუქციული ასაკის n = 14	41.1 ± 7.7	2.42 ± 2.37	25.2 ± 3.2	-0.67 ± 1.15	-0.54 ± 2.02
საკონტროლო n = 20	42.6 ± 4.7	2.03 ± 1.08	25.5 ± 4.4	-0.73 ± 1.03	-0.19 ± 1.13
P	0.50	0.51	0.84	0.87	0.53

ცხრილი №8

ძვლის მინერალური სიმკვრივე დტჩ-ის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ მენოპაუზური ასაკის პაციენტებში


ჯგუფები	ასაკი	მენოპაუზა	TSH	სმი	T-ინდექსი ბარძაყი	T-ინდექსი წელი
პოსტმენო	53.4 ± 4.9	5.6 ± 5.1	$2.31 \pm$	$30.9 \pm$	-1.65 ± 0.98	-1.18 ± 1.13

პაუზური ასაკის n = 26			3.57	6.4		
საკონტროლო n = 34	54.0 ± 4.1	5.2 ± 2.5	1.91 ± 0.97	31.1 ± 6.0	-1.09 ± 0.68	-1.34 ± 1.47
P	0.60	0.65	0.53	0.90	0.02	0.65

წელის მალეების ძვლის მინერალური სიმკვრივე ერთგვაროვანი აღმოჩნდა თირეოტიკოსის ანამნეზის მქონე პაციენტებსა და საკონტროლო ჯგუფში როგორც მენოპაუზური, ისე რეპროდუქციული ასაკის ქალებში. ბარძაყის ძვლის მინერალური სიმკვრივე კი დაბალი იყო პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში, აღინიშნებოდა სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. აღნიშნული შედეგები ნაჩვენებია დიაგრამაზე №4.

დიაგრამა №4


ძვლის მინერალური სიმკვრივე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ რეპროდუქციული და პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში



4.1.5. კორელაციური ურთიერთკავშირები

დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით დაავადებული პაციენტების ჯგუფის სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული იქნა სტატისტიკურად სარწმუნო პირსონის კორელაციის კოეფიციენტები პაციენტების ასაკს, მენოპაუზის ხანგრძლივობას, antiTSHr ანტისხეულების დონესა და ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის ორივე რეგიონში (წელის მალეხსა და პროქსიმალურ ბარძაყში). სმი სარწმუნოდ კორელირებდა მხოლოდ ბარძაყის ძვლის მინერალურ სიმკვრივესთან, ხოლო თტკ-სა და ძმს-ს შორის კორელაციური კავშირი ჩვენი გამოკვლევით არ დადასტურდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძლიერი ურთიერთკავშირი აღმოჩნდა ანტითირეოტროპულ ანტისხეულების დონესა და ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის პროქსიმალურ ბარძაყში ($r = -0.63$, $p < 0.001$) (დიაგრამა №5), რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ანტისხეულები დამოუკიდებლად ახდენენ ზეგავლენას ძვლის მეტაბოლიზმზე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის დროს.

დიაგრამა №5: კორელაციური ურთიერთკავშირი antiTSHr ანტისხეულების დონესა და ბარძაყის ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის



4.2. ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები პირველადი ჰიპოთირეოზის დროს

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 84 ქალი პირველადი ჰიპოთირეოზის დიაგნოზით. გამოკვლეული ქალების ასაკი მერყეობდა 41-დან 72 წლამდე, გამოსაკვლევ კონტიგენტში 8 შემთხვევაში დაავადება იყო ახლად დიაგნოსტირებული და პაციენტებს არ ჰქონდათ დაწყებული ჩანაცვლებითი მკურნალობა, 76 შემთხვევაში ანამნეზის ხანგრძლივობა ჰიპოთირეოზის დიაგნოსტირებიდან და მკურნალობის დაწყებიდან ძვლის სიმკვრივის განსაზღვრამდე შეადგენდა 0.5 – 15 წელს, ხოლო ლევოთიროქსინის დოზა -- 25 - 150 მკგ-ს. საკვლევ პაციენტებს შორის 58 ქალს აღენიშნებოდა პირველადი ჰიპოთირეოზი ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური რეზექციის შემდეგ, 26 პაციენტს კი დასმული ჰქონდა აუტოიმუნური თირეოიდიტის დიაგნოზი. 84 ქალიდან 62 იყო პოსტმენოპაუზური ასაკის, ხოლო 22 ქალს ჰქონდა რეგულარული მენსტრუალური ციკლი.

როგორც აღენიშნეთ, მონაცემების ანალიზის დროს ყველა შემთხვევაში ხდებოდა ერთგვაროვანი საკვლევი და საკონტროლო ქვეჯგუფების შერჩევა პაციენტების ასაკის, მენოპაუზური სტატუსის, მენოპაუზის ხანგრძლივობის და სხეულის მასის ინდექსის მიხედვით, ასე რომ გათანაბრებული იქნა ყველა ის ფაქტორი, რომელსაც შეეძლო ძვლის მინერალურ სიმკვრივის მოდიფიცირება.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო ძვლის მინერალურ სიმკვრივის ცვლილების დადგენა პირველადი ჰიპოთირეოზის დროს, დაავადების ბუნებრივი მიმდინარეობისას, რაც ვერ მოხერხდა აღნიშნული ქვეჯგუფის მცირერიცხოვნებისა და არაერთგვაროვნების გამო.

4.2.1 ძვლის მინერალური სიმკვრივის თავისებურებები პირველადი ჰიპოთირეოზის დროს ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე რეპროდუქციული ასაკის ქალებში

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ჰიპოთირეოზის ზეგავლენის შესწავლა რეპროდუქციული ასაკის ქალების ძმს-ზე. ჩვენს საკვლევ პაციენტებს შორის 19 იყო რეპროდუქციული ასაკის, მათ შორის 10 პაციენტს ჰიპოთირეოზი განუვითარდა აუტოიმუნური თირეოიდიტის, სხვებს კი ($n = 9$) ფარისებრი

ჯირკელის სუბტოტალური რეზექციის შედეგად. ყველას უტარდებოდა 6 თვიდან - 9 წლამდე ხანგრძლივობის ჩანაცვლებითი თერაპია (ცხრილი №9).

ცხრილი №9

რეპროდუქციული ასაკის პაციენტების ძმს პირველადი ჰიპოთირეოზის დროს

ჯგუფი	ასაკი	TSH	BMI	T-ინდექსი ბარდაყი	T-ინდექსი წელი
პთ პრემენოპაუზა n = 19	45.4 ± 5.7	1.98 ± 0.98	27.4 ± 4.7	-0.82 ± 0.81	-0.39 ± 0.97
საკონტ პრემენოპ n = 24	44.6 ± 4.1	1.92 ± 0.99	25.9 ± 4.2	-0.50 ± 0.91	-0.02 ± 0.92
P	0.63	0.85	0.31	0.29	0.24

საკვლევი და საკონტროლო ჯგუფის პაციენტების ძმს-ს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ გამოვლინდა არც ბარდაყის ძვალში, არც წელის მალეებში.

4.2.2. ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები პირველადი ჰიპოთირეოზის დროს ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში

ამჟამად, პოპულაციის ინფორმირებულობის გაზრდასა და სადიაგნოსტიკო საშუალებების დახვეწასთან ერთად, მოიმატა იმ პაციენტების რაოდენობამ, რომელთაც უტარდებათ ჩანაცვლებითი თერაპია პირველადი ჰიპოთირეოზის გამო. ჩანაცვლებითი მკურნალობა ინიშნება თიროქსინის სინთეზური ანალოგით, ლევოთიროქსინით. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველადი ჰიპოთირეოზის ზეგავლენის შესწავლა ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე, ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე. საკვლევი პაციენტებს შორის 76 ქალი იღებდა ეუთიროქსს ან L-თიროქსინს დოზით 25 - 150 მკგ. მათგან 57 იყო პოსტმენოპაუზური ასაკის, ხოლო 19 პაციენტს აღენიშნებოდა რეგულარული მენსტრუალური ციკლი.

მენოპაუზასთან დაკავშირებული ესტროგენების დეფიციტი წარმოადგენს ოსტეოპოროზის ძირითად ეტიოპათოგენურ ფაქტორს. პოსტმენოპაუზური ასაკის ქალების ძმს-ზე ჰიპოთირეოზის ზეგავლენის დასადგენად, მენოპაუზური ასაკის პაციენტების (n = 57) მონაცემები შედარდა საკონტროლო ჯგუფთან. საკვლევი ჯგუფიდან ყველას უტარდებოდა ჩანაცვლებითი თერაპია. პაციენტების კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №10

ცხრილი №10

ძვლის მინერალური სიმკვრივე პირველადი ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებში პოსტმენოპაუზურ ასაკში

ჯგუფი	ასაკი	მენოპაუზა	TSH	BMI	T-ინდექსი ბარძაყი	T-ინდექსი წელი
პთ მენოპაუზა n = 57	60.0 ± 6.2	12.0 ± 4.9	1.85 ± 1.31	30.0 ± 5.6	-1.71 ± 0.73	-1.88 ± 0.88
საკონტ მენოპ n = 61	59.4 ± 4.7	11.8 ± 4.9	2.00 ± 0.95	29.4 ± 3.5	-1.37 ± 0.84	-1.63 ± 1.24
p	0.67	0.87	0.57	0.62	0.10	0.38

როგორც ცხრილიდან ჩანს, პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტების ძმს დაბალი იყო პროქსიმალურ ბარძაყში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, თუმცა სხვაობა არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

4.2.3. ძვლის მინერალური სიმკვრივის თავისებურებები პირველადი ჰიპოთირეოზის ანამნეზის ხანგრძლივობის მიხედვით პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში

როგორც აღვნიშნეთ, პირველად ჰიპოთირეოზს საფუძვლად უდევს ისეთი პათოლოგიები, რომლებიც განაპირობებენ ფარისებრი ჯირკვლის შეუქცევად დაზიანებას და აქედან გამომდინარე, დაავადების ქრონიკულ და ხანგრძლივ მიმდინარეობას. დაავადების ხანგრძლივობის ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე ზეგავლენის შესასწავლად, პაციენტები დაეყავით ორ ჯგუფად: I ჯგუფში გაერთიანდნენ პაციენტები (n = 42), რომელთაც ჰიპოთირეოზის დიაგნოზი დასმული ჰქონდათ 2.8 ± 1.4 წლის წინ, ხოლო მეორე ჯგუფში კი ის 15 პაციენტი, რომელთა დაავადების ხანგრძლივობა აღემატებოდა 5 წელს და საშუალოდ შეადგენდა 9.2 ± 2.5 წელს (ცხრილი № 12). ყველას უტარდებოდა ჩანაცვლებითი თერაპია ლევოთიროქსინით.


ცხრილი №11

პოსტმენოპაუზური ასაკის ქალების ძმს სხვადასხვა ხანგრძლივობის ჰიპოთირეოზის დროს

ჯგუფი	ასაკი	მენოპაუზა	ანამნეზი	TSH	BMI	T-ინდექსი ბარდაყი	T-ინდექსი წელი
ანამნეზი ≤ 5წ n = 42	57.5 ± 6.3	9.1 ± 6.3	2.8 ± 1.4	2.35 ± 2.29	29.4 ± 5.4	-1.41 ± 0.84	-1.67 ± 1.05
ანამნეზი > 5წ n = 15	58.4 ± 6.6	9.0 ± 5.6	9.2 ± 2.5	1.31 ± 1.10	28.9 ± 5.6	-1.75 ± 1.03	-1.91 ± 1.27
საკონტროლო n = 42	58.2 ± 4.9	10.3 ± 5.3		2.10 ± 1.00	29.5 ± 3.5	-1.26 ± 0.90	-1.59 ± 1.27
p1-2	0.64	0.97	<0.0001	0.10	0.78	0.38	0.47
p2-3	0.59	0.37		0.52	0.91	0.45	0.77
p1-3	0.89	0.44		0.014	0.65	0.025	0.40

პროქსიმალური ბარდაყის ძმს სტატისტიკურად სარწმუნოდ დაქვეითებული აღმოჩნდა II ჯგუფის პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. წელის მალეების მინერალური სიმკვრივე კი თანაბარი იყო ყველა ჯგუფში, რაც ნაჩვენებია დიაგრამაზე №6.


ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზურ ასაკში 5 წელზე < და > მიმდინარეობის ხანგრძლივობის ჰიპოთირეოზის დროს




გარდა აღნიშნულისა, შევისწავლეთ ოსტეოპოროზისა და ოსტეოპენიის გავრცელება ჰიპოთირეოზის დიაგნოზის მქონე პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფის პაციენტების ბარძაყის ძვლის ყელში. მიღებული მონაცემების პროცენტული გამოსახვისას გამოიკვეთა, რომ როგორც ოსტეოპოროზის, ისე ოსტეოპენიის გავრცელება პრაქტიკულად თანაბარია ჯგუფებს შორის (დიაგრამა №7)

დიაგრამა №7: ოსტეოპოროზის და ოსტეოპენიის გავრცელება ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფებში

ჰიპოთირეოზის ჯგუფი



საკონტროლო ჯგუფი



4.2.4. კორელაციური კავშირები ჰიპოთირეოზის ჯგუფში

ჰიპოთირეოზის ჯგუფის სტატისტიკური ანალიზის შედეგად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ბარძაყის ყელის მინერალურ სიმკვრივესა და დაავადების ხანგრძლივობას შორის $r = -0,44$; $p < 0,05$; ასევე ბარძაყის ყელის მინერალურ სიმკვრივესა და პაციენტების ასაკს შორის $r = -0,19$; $p < 0,05$; ხოლო დადებითი უკუკავშირი ბარძაყის ყელის ძმს-სა და სხეულის მასის ინდექსს შორის $r = 0,31$; $p < 0,05$.

რაც შეეხება წელის მალეებს, სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია აღმოჩნდა მალეების მინერალურ სიმკვრივესა და მენოპაუზის ხანგრძლივობას შორის $r = -0,49$; $p < 0,05$; ასევე მალეების მინერალურ სიმკვრივესა და პაციენტის ასაკს $r = -0,20$; $p < 0,05$.

საინტერესოა, რომ რეგრესიული ანალიზისას სარწმუნო ურთიერთკავშირი დადგინდა ბარძაყის ძვლის სიმკვრივესა და დაავადების ხანგრძლივობას შორის $p < 0,05$, დეტერმინაციის კოეფიციენტი $R = 0,560$.

თაზო 5

კვლევის შედეგების განხილვა

ოსტეოპოროზი არის ძვლების სისტემური დაავადება, რომელსაც ახასიათებს ძვლოვანი მასის შემცირება და მიკროარქიტექტონიკის დარღვევა, რაც განაპირობებს ძვლის სიმტკიცის დაქვეითებას და მოტეხილობის რისკის გაზრდას [31]. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასთან ერთად, იმატებს ოსტეოპოროზული მოტეხილობების სიხშირე და მასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯები. ოსტეოპოროზის საერთაშორისო ფონდის (IOF) მონაცემებით, ოსტეოპოროზული მოტეხილობის მკურნალობის წლიური პირდაპირი ხარჯი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ევროპაში 48 მილიარდი დოლარია [167]. დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, ოსტეოპოროზის ადრეული პროფილაქტიკა და მკურნალობა შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ოსტეოპოროზის განვითარების რისკი, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში თავიდან იქნას აცილებული მოტეხილობა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკა და პროფილაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში დღეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განიხილება, საქართველოში ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით, მაშინ როდესაც სამკურნალო პრეპარატების მნიშვნელოვანი არსენალი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტია ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია (DXA), რომელიც ზომავს ძვლის მინერალურ სიმკვრივეს ფართობის ერთეულზე. ძმს კორელირებს ძვლის სიმტკიცესთან და წარმოდგენას იძლევა მოტეხილობის რისკზე. მოტეხილობის რისკი განუხრელად იზრდება ძმს-ის დაქვეითებასთან ერთად. მიუხედავად სხვადასხვა საკვლევი მიდამოებისა, პროქსიმალური ბარძაყის სიმკვრივე ყველაზე მჭიდროდ კორელირებს მოტეხილობის რისკთან. DXA ითვლის T-ინდექსს, რომელიც არის სტანდარტული გადახრა (SD) ამავე სქესის ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანების ძვლის პიკური მასიდან. გარდა ამისა, DXA ითვლის Z-ინდექსს, რომელიც არის სტანდარტული გადახრა ამავე ასაკის და სქესის რეფერენსული პოპულაციის მონაცემებიდან. რეფერენსული ბაზა შედგენილია შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და კვების III ეროვნული კვლევის (NHANES III) მონაცემების გამოყენებით. ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია ძმს-ის განსაზღვრა. დიაგნოსტიკა ეყრდნობა T-ინდექსს ანუ T-მაჩვენებელს და ჯანმო-ს კრიტერიუმებით გამოიყოფა ძმს-ის შემდეგი კატეგორიები:

4. ნორმალური სიმკვრივე: T-მაჩვენებელი > -1 SD
5. დაბალი ძვლოვანი მასა (ოსტეოპენია): T-მაჩვენებელი < -1 და $> -2,5$ SD
6. ოსტეოპოროზი: T-მაჩვენებელი $\leq -2,5$ SD. გამოსატული ოსტეოპოროზი: T-მაჩვენებელი $\leq 2,5$ SD და ერთი ან ორი ოსტეოპოროზული მოტეხილობა [166, 169].

ოსტეოპოროზის ეროვნული ფონდის რეკომენდაციით [169], ოსტეოპენიისა და ოსტეოპოროზის სადიაგნოსტიკოდ ჯანმო-ს კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელია 50 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებში, თუ ძმს-ის გამოკვლევა ხდება ცენტრალური DXA-ს მეთოდით წელის მალეების ან პროქსიმალური ბარძაყის მიდამოში.

დენსიტომეტრიის სხვა მეთოდებითაც შესაძლებელია მოტეხილობის რისკის განსაზღვრა, თუმცა მათი გამოთვლილი T-ინდექსი არ მიიჩნევა DXA-ს

მონაცემის ექვივალენტურად და მისი ინტერპრეტირება შეუძლებელია ჯანმო-ს კრიტერიუმების მიხედვით [31, 72, 167].

დადგენილია, რომ ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმზე ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. ეტიოპათოგენეზური კლასიფიკაციით, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შედეგად განვითარებული ოსტეოპოროზი მეორადი ოსტეოპოროზის ჯგუფში ერთიანდება და მას თირეოიდულ ოსტეოპოროზს უწოდებენ [4, 78]. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ზემოქმედება ძვლის მეტაბოლიზმზე პირველად დეტალურად აღწერა ფონ რეკლინგჰაუზენმა 1891 წელს და მას შემდეგ ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები ამ საკითხის გარშემო. თირეოიდული რეცეპტორები აღმოჩენილ იქნა ოსტეობლასტებზე და პირველად Mundy G, Shapiro J et al მიერ დადგინდა ოსტეობლასტების პირდაპირი სტიმულირება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებით [105]. ოსტეოკლასტებზე აღნიშნული რეცეპტორების არსებობა არ დასტურდება, თუმცა ოსტეობლასტების გააქტივება არ ხდება ოსტეოკლასტების გარეშე და მათ ურთიერთქმედებაში მონაწილეობენ სხვადასხვა ციტოკინები. უჯრედული კულტურების კვლევისას გამოვლინდა რეზორბციის ღრუების რაოდენობისა და მოცულობის ზრდა კორტიკალურ ძვალში ტრიიოდთირონინისა და თიროქსინის ზემოქმედების შედეგად [13, 14].

